შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

ზოგადი უნარების ტესტი

II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი შედგება ორი - ვერბალური და მათემატიკური - ნაწილისგან.

თითოეული ნაწილი 40 დავალებას შეიცავს. ყოველ დავალებას ახლავს ოთხი ან ხუთი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.

ტესტის თითოეულ ნაწილზე სამუშაოდ გეძლევათ 1 საათი და 35 წუთი.

ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას, და შემდეგ აირჩიეთ პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 80.

გისურვებთ წარმატებას!

ვერბალური ნაწილი

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა (საწყისი წყვილი), რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. მათ გასწვრივ მოცემულია სიტყვა, რომელსაც სავარაუდო პასუხებიდან უნდა შევუსაბამოთ ერთ-ერთი ვარიანტი ისე, რომ სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება საწყის წყვილში არსებული მიმართების მსგავსი (ანალოგიური) იყოს.

1. აქცენტი : ყურადღების გამახვილება

სტილი :

(ა) განწყობილების ცვალებადობა

(ბ) გემოვნების მრავალფეროვნება

(გ) თავისებურების გამოხატვა

(დ) სიახლის გათვალისწინება

(ე) მეტყველების მანერა

2. სარეველა : ბოსტანი

ვირუსი :

(ა) ორგანიზმი

(ბ) პრეპარატი

(გ) სიმპტომი

(დ) ინფექცია

(ე) ვაქცინა

3. კვალდაკვალ : ფეხდაფეხ

დროდადრო :

(ა) ნაბიჯ-ნაბიჯ

(ბ) დღითი დღე

(გ) წამდაუწუმ

(დ) თანდათან

(ე) შიგადაშიგ

4. ინტრიგა : ლაბირინთი

მკურნალობა :

(ა) მზრუნველობა

(ბ) რეპროდუქცია

(გ) რესტავრაცია

(დ) რეანიმაცია

(ე) პრევენცია

5. დამალული : ძებნა

(ა) დაცვა

(ბ) დასჯა

(გ) მხილება

(დ) აღიარება

(ე) დაბრალება

დადანაშაულებული :

წინადადებების შევსება

მოცემულია წინადადებები, რომლებშიც გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებითაა აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველი ვარიანტი შეიცავს სიტყვათა ჯგუფს, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

6. არავინ ------ , რომ ლამანტინების პოპულაცია ------ , ეს ------ იმას , რომ ისინი დაცულები ------ .

(ა) უარყოფს / გადაშენების საფრთხის წინაშეა / კი ადასტურებს / არიან

(ბ) ამტკიცებს / წარმატებით მრავლდება / კი უარყოფს / არ არიან

(გ) უარყოფს / წარმატებით მრავლდება, თუმცა / სულაც არ ნიშნავს / არ არიან

(დ) ამტკიცებს / გადაშენების საფრთხის წინაშეა, თუმცა / სულაც არ ნიშნავს / არიან

7. ჩვენ ------ ვრეაგირებთ ადამიანური გარეგნობისა და მოძრაობების მქონე რობოტებზე, ------ როცა ისინი ------ ცოცხალ არსებებს, ის, რაც მანამდე ------ ხდება.

(ა) გარკვეულ მომენტამდე დადებითად / მაგრამ / ზედმიწევნით ემსგავსებიან / მიმზიდველი იყო, მალევე მიუღებელი

(ბ) გარკვეულ მომენტამდე უარყოფითად / მაგრამ / სულ არ ჰგვანან / მიმზიდველი იყო, მალევე მიუღებელი

(გ) ყოველთვის დადებითად / რადგან / ზედმიწევნით ემსგავსებიან / მიუღებელი იყო, გაცილებით უფრო მიმზიდველი

(დ) ყოველთვის უარყოფითად / რადგან / სულ არ ჰგვანან / მიუღებელი იყო, გაცილებით უფრო მიმზიდველი

8. ------ გულისხმობს ან ------ პოეტი ამა თუ იმ სონეტში, ამ საკითხების კვლევა ------ შექსპირის ------ .

(ა) ნაკლებად საინტერესოა, რას / რომელ კონკრეტულ მხატვრულ ხერხს იყენებს / მნიშვნელოვნად გაამდიდრებს / პოეზიის გაგებისა და შეფასების საქმეს

(ბ) რამდენადაც უნდა გვაინტერესებდეს, ვის / რა კონკრეტულ ავტობიოგრაფიულ მომენტზე მიუთითებს / ბევრს მაინც ვერაფერს შემატებს / პოეზიის გაგებისა და შეფასების საქმეს

(გ) ნაკლებად საინტერესოა, რას / რომელ კონკრეტულ მხატვრულ ხერხს იყენებს / ახალი კუთხით დაგვანახებს / ცხოვრების კონკრეტულ ეპიზოდებს

(დ) რამდენადაც უნდა გვაინტერესებდეს, ვის / რა კონკრეტულ ავტობიოგრაფიულ მომენტზე მიუთითებს / ნათელს მაინც მოჰფენს / ცხოვრების კონკრეტულ ეპიზოდებს

9. ორგანიზაციაში მუშაობისას ადამიანი ყოველთვის ------ , რომ თანამშრომლებს შორის სამართლიანი ურთიერთობები არსებობდეს. ამიტომ ის ------ ისეთ სამსახურებრივ ურთიერთობებს, რომლებშიც ადამიანთა შრომითი დანახარჯები მათივე შემოსავლის ------ .

(ა) როდია მოტივირებული / ესწრაფვის / პირდაპირპროპორციულია

(ბ) მოტივირებულია / არ გაურბის / უკუპროპორციულია

(გ) არ არის მოტივირებული / გაურბის / უკუპროპორციულია

(დ) მოტივირებულია / ესწრაფვის / პირდაპირპროპორციულია

10. ვაგნერი წერდა: „მე განსაკუთრებით ვაფასებდი ბერლიოზის მუსიკას, მაგრამ როსინიმ განმაცვიფრა ------ , რაც არ შემიმჩნევია ბერლიოზისთვის. რა ------ იქნებოდა, როსინისთანა ------ რომ ბერლიოზის ------ .

(ა) შემოქმედებითი შემართებით / გულდასაწყვეტი / შემართება / შემოქმედებისთვისაც ყოფილიყო ნიშანდობლივი

(ბ) სულიერი კეთილშობილებით / გულდასაწყვეტი / კეთილშობილება / შემოქმედებისთვისაც არ ყოფილიყო ნიშანდობლივი

(გ) შემოქმედებითი შემართებით / საუცხოო / სულის ადამიანს / შემოქმედებითი შემართება მიმადლებოდა

(დ) სულიერი კეთილშობილებით / საუცხოო / სულის ადამიანს / შემოქმედებითი შემართება მიმადლებოდა

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიადვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ან დიაგრამის ფორმით.

11. ცნობილია, რომ ძაღლებს შეუძლიათ ადამიანის ემოციების ამოცნობა – არჩევენ, ადამიანი გაბრაზებულია, გახარებულია თუ სევდიანია, და შესაბამისად რეაგირებენ. ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ **ძაღლებს, ამასთან ერთად, აქვთ უნარი, მხოლოდ სახის გამომეტყველების მიხედვითაც კი ამოიცნონ ადამიანის ემოციური მდგომარეობა.**

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ვითარება **აყენებს ეჭვქვეშ** აღნიშნულ ვარაუდს ყველაზე მეტად?*

(ა) ექსპერიმენტში ძაღლების ორი ჯგუფი გაწვრთნეს: ერთი – ადამიანთა მხიარული, ხოლო მეორე – მოწყენილი სახეების ამოცნობაში. ჯგუფს, რომელსაც მხიარული სახეების ამოცნობას ასწავლიდნენ, ბევრად უფრო ნაკლები წვრთნა დასჭირდა.

(ბ) ექსპერიმენტების შედეგები ადასტურებს, რომ ძაღლებს არცთუ კარგი მხედველობა აქვთ და როგორც ერთმანეთთან, ისე ადამიანებთან ურთიერთობაში, ძირითადად, ყნოსვისა და სმენის უნარებს იყენებენ.

(გ) ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ძაღლებს ბუნებრივად აქვთ ადამიანების სახეების ცნობის განსაკუთრებული უნარი – ისინი შორი მანძილიდან მხოლოდ სახის დანახვითაც განასხვავებენ გარეგნულად ერთმანეთის საკმაოდ მსგავს ადამიანებს.

(დ) ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ძაღლებს ბევრად უფრო უიოლდებათ იმ ადამიანთა ემოციების ამოცნობა, რომლებთანაც მანამდეც იყვნენ კონტაქტში, ვიდრე სრულებით უცხო ადამიანთა ემოციებისა.

(ე) ექსპერიმენტში ძაღლების ერთ ჯგუფს ასწავლიდნენ კომპიუტერის ეკრანზე დანახული ადამიანების ემოციების ამოცნობას, ხოლო მეორე ჯგუფს – უშუალოდ მათ წინ მდგარ ადამიანთა ემოციების ამოცნობას. ორივე ჯგუფი თანაბრად წარმატებული აღმოჩნდა.

12. დერეფნის ორივე მხარეს, ერთმანეთის პირისპირ, სამ-სამი ოთახია, რომლებშიც განლაგებულია ორგანიზაციის დეპარტამენტები და თანამშრომლების კაბინეტები. მოცემულია:

- გენერალური დირექტორის კაბინეტი მხოლოდ ერთ ოთახს ესაზღვრება გვერდიდან.
- მენეჯერის კაბინეტს მარჯვნიდანაც და მარცხნიდანაც ესაზღვრება ოთახი.
- ფინანსური დირექტორის კაბინეტი გენერალური დირექტორის კაბინეტს ესაზღვრება.
- კანცელარია და პერსონალის მართვის დეპარტამენტი დერეფნის ერთ მხარესაა.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია **შესაძლებელი,** თუ ეს პირობები სრულდება?*

(ა) მენეჯერის კაბინეტი პერსონალის მართვის დეპარტამენტს ესაზღვრება.

(ბ) მენეჯერის კაბინეტი პერსონალის მართვის დეპარტამენტის პირდაპირაა.

(გ) გენერალური დირექტორისა და მენეჯერის კაბინეტები ერთმანეთის პირდაპირაა.

(დ) გენერალური დირექტორის კაბინეტი და კანცელარია დერეფნის ერთ მხარესაა.

(ე) გენერალური დირექტორის კაბინეტი და პერსონალის მართვის დეპარტამენტი დერეფნის ერთ მხარესაა.

13. მოცემულია:

- ამ თამაშში ნებადართულია საკუთარი სვლის დაფარვა.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი **<u>გამომდინარეობს</u>** მოცემული წესიდან?*

ამ თამაშში:

(ა) ნებადართული არ არის საკუთარი სვლის არგამხელა.

(ბ) აკრძალული არ არის საკუთარი სვლის არგამხელა.

(გ) ნებადართული არ არის საკუთარი სვლის გამხელა.

(დ) აკრძალული არ არის საკუთარი სვლის გამხელა.

(ე) სავალდებულოა საკუთარი სვლის არგამხელა.

14. მუზეუმმა შეისყიდა ვან-გოგის, გოგენის, სეზანისა და მოდილიანის თითო ნახატი. ერთ-ერთი მათგანი გუაშითაა შესრულებული, ერთი – აკვარელით, ერთი – პასტელით, ხოლო ერთი – ზეთის საღებავებით. ცნობილია:

- გუაშით შესრულებულ ნამუშევარში გადაიხადეს აკვარელით შესრულებულ ნამუშევარზე მეტი, მაგრამ ზეთით შესრულებულ ნამუშევარზე ნაკლები.
- ვან-გოგის ნამუშევარში ყველაზე მეტი გადაიხადეს, ხოლო გოგენის ნამუშევარში – ყველაზე ნაკლები.

*ქვემოთ მოცემულია მხატვრების ნამუშევრებსა და გამოყენებულ მასალას შორის შესაბამისობის სხვადასხვა ვერსია. რომელი მათგანია **<u>შეუძლებელი</u>** პირობების მიხედვით?*

	ვან-გოგის ნახატი	**გოგენის ნახატი**	**სეზანის ნახატი**	**მოდილიანის ნახატი**
(ა)	პასტელი	აკვარელი	გუაში	ზეთი
(ბ)	ზეთი	პასტელი	აკვარელი	გუაში
(გ)	პასტელი	აკვარელი	ზეთი	გუაში
(დ)	ზეთი	პასტელი	გუაში	აკვარელი
(ე)	ზეთი	გუაში	პასტელი	აკვარელი

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ მასზე პასუხის გასაცემად შესაძლებელია დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

i

წარმოიდგინეთ, რომ ხვალ ქორწილია, მაგრამ პატარძალს არ აქვს საქორწინო კაბა, უფრო ზუსტად, აქვს, მაგრამ ის სადღაც „გაიჭედა“. სწორედ ასეთ მდგომარეობაში მყოფი ქალის აღელვებული ხმა გაისმა „ფედექსის“ ოფისში: „გთხოვთ, დამეხმაროთ!“ იმ დღიდან, რაც კომპანიამ დაიწყო ფუნქციონირება, ორ თვეზე მეტი იყო გასული, მაგრამ ამ პერიოდის განმავლობაში მას მხოლოდ ორი შეკვეთა ჰქონდა მიღებული, რომელთა შესრულებაც ნახევარი მილიონი დოლარი დაუჯდა. კომპანია გაკოტრების საფრთხის წინაშე იდგა. და თუ ასე იყო, მაშინ რატომ დაჯავშნეს თვითმფრინავი მხოლოდ ერთი საქორწინო კაბის ჩამოსატანად?

ii

ზოგჯერ ალბათ საჭიროა, ალოგიკურად და განსხვავებულად მოიქცე, რათა წარმატებული და სხვებისგან გამორჩეული იყო. სწორედ ასე მოიქცა ფრედ სმიტიც, რომელმაც შექმნა ახალი – სწრაფი გადაზიდვების – ბაზარი. „ფედექსის“ არსებობის პირველივე დღიდან მისმა პროდუქტმა კონკრეტული ნიშა დაიკავა – მცირე ამანათების გადაზიდვა 24 საათში. კომპანიამ შეიძინა მომხმარებლისთვის ადვილად აღსაქმელი იმიჯი, რომელიც ხაზს უსვამდა მის უნიკალურობას.

iii

კომპანიამ რომ იმუშაოს, უნდა არსებობდეს მოთხოვნა მის პროდუქტზე, რისთვისაც აუცილებელია, მომხმარებელმა გაიგოს ამ კომპანიის პროდუქტის შესახებ. ადამიანთა უმრავლესობა უნდობლად უყურებს ყველაფერს ახალს, თუმცა, ყოველთვის მოიძებნება ერთი მომხმარებელი მაინც, რომელიც ამ პროდუქტს გასინჯავს, და თუ კმაყოფილი დარჩება, სხვებსაც მოუყვება თავისი „აღმოჩენის“ შესახებ. ინფორმაციის გავრცელების ეს გზა ყველანაირ რეკლამაზე უფრო ეფექტიანია. „ფედექსის“ შემთხვევაშიც ასე მოხდა. ზემოთ ნახსენებ ქორწილში პატარძალმა სტუმრებს უამბო თავისი კაბის „მოგზაურობის“ შესახებ მისთვის საგანგებოდ გამოყოფილი თვითმფრინავით. სტუმრებს შორის რამდენიმე მსხვილი კომპანიის მენეჯერებიც იყვნენ. ცოტა ხანში ეს კომპანიები „ფედექსის“ მომხმარებლები გახდნენ.

iv

1982 წლამდე „ფედექსს“ კონკურენტი არ ჰყავდა, შემდეგკი ერთ-ერთმა ძლიერმა კომპანიამ – UPS-მაც – გადაწყვიტა სწრაფი გადაზიდვების ბაზარზე შემოსვლა. დაიწყო ლიდერობისათვის ბრძოლა. მარკეტინგული სვლებითა და საფასო ომებით ერთმანეთის მომხმარებლის გადაბირების

შეკითხვებზე გადასვლა: 15 16 17 18 19 20

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

სტრატეგიამ ვერ გაამართლა. კომპანიებს რაღაც სხვა გზით უნდა მოეხერხებინათ საკუთარი პროდუქტის დიფერენცირება. „ფედექსმა“ ორგანიზაციაში დანერგა კომპიუტერული სისტემები, რომელთა გამოყენებითაც მომხმარებელს შეეძლო არა მარტო შეკვეთის მიცემა სახლიდან გაუსვლელად, არამედ თვალის მიდევნებაც ამანათის „მოგზაურობისათვის“ შეკვეთის მიცემიდან დანიშნულების ადგილზე მისვლამდე. დღეს UPS-იც სთავაზობს მსგავს მომსახურებას მომხმარებელს, თუმცა, ის მაინც ყოველთვის მიმდევარია, მას ყოველთვის მეორე პოზიცია უკავია ბაზარზე.

v UPS-ისგან განსხვავებით, „ფედექსს“ არ დაუშვია ის შეცდომაც, რომელიც ბევრი სწრაფად განვითარებადი კომპანიისთვისაა დამახასიათებელი. თავისი არსებობის მანძილზე „ფედექსს“ მხოლოდ ერთი პროდუქტი ჰქონდა და მთელ ძალისხმევას სწორედ მის დახვეწას ახმარდა. კომპანიამ ვიწრო სეგმენტი აირჩია, რაც მისი წარმატების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა. თუმცა, ფრედ სმიტი კომპანიის წარმატების ძირითად ფაქტორად თანამშრომლებს მიიჩნევდა. მან ერთ-ერთმა პირველმა შექმნა თანამშრომლებზე ორიენტირებული კომპანია, რადგან კარგად აცნობიერებდა, რამდენად მნიშვნელოვანია წარმატებისთვის კადრების სწორად მართვა.

vi ფრედ სმიტი გამოყოფს რამდენიმე ძირითად პრინციპს, რომლებსაც ეყრდნობა მისი და კომპანიის თანამშრომელთა ურთიერთობა. ესაა საერთო მიზნის არსებობა, ერთმანეთის ნდობა და თანამშრომელთა მიღწევების სათანადოდ დაფასება. სამივე ეს პრინციპი იმდენად მარტივია, რომ სხვებმა ყურადღება არ შეაჩერეს მათზე და უფრო რთულ და ძნელად გასაგებ იდეებს მისდევდნენ. დღეს ისინი გაკვირვებულები არიან ფრედ სმიტით და მისი წარმატებით, გუშინ კი ამ ადამიანის პრინციპები სასაცილო და უჩვეულო ეჩვენებოდათ. ეს სიტუაცია არცთუ უნიკალურია, მას ბევრი წარმატებული ადამიანისა და კომპანიის ისტორიაში შეხვდებით. ამდენად, შეიძლება ვთქვათ: ჩვენ გარშემო უამრავი შესაძლებლობა არსებობს; მთავარია, დაინახო ისინი და გეყოს გამბედაობა, იარო მიზნისკენ, სხვების გაოგნებისა და ირონიის მიუხედავად.

შეკითხვებზე გადასვლა: 15 16 17 18 19 20

15. რა მიმართებაა I და II აბზაცებს შორის?

(ა) II აბზაცში აღწერილი კომპანიის თავისებურება ახალი ფაქტებით განამტკიცებს I აბზაცში მოცემულ მსჯელობას.

(ბ) I აბზაცში მოცემულია კომპანიის მოქმედების იმ სტრატეგიის ილუსტრაცია, რომლის შესახებ საუბარია II აბზაცში.

(გ) II აბზაცში მოცემული მსჯელობა სხვა კუთხით წარმოაჩენს ორგანიზაციის საქმიანობის იმ ასპექტს, რომლის შესახებ საუბარია I აბზაცში.

(დ) როგორც I, ასევე, II აბზაცში აღწერილი და ახსნილია ერთ-ერთი კომპანიის ისტორიაში მომხდარი უცნაური შემთხვევა.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

16. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ახსნა გამოგვადგება ავტორის შემდეგი სიტყვების დასასაბუთებლად: „ინფორმაციის გავრცელების ეს გზა ყველანაირ რეკლამაზე უფრო ეფექტიანია“?

(ა) ამგვარ ინფორმაციას მეტი ნდობით ეკიდებიან მომხმარებლები, რადგან მისი უტყუარობა პრაქტიკით არის შემოწმებული.

(ბ) ამგვარი ინფორმაცია უფრო ადვილად ვრცელდება, რადგან ბევრს არ აქვს შესაძლებლობა, მოუსმინოს საინფორმაციო წყაროებით გადაცემულ რეკლამებს.

(გ) ამგვარი ინფორმაცია უფრო დამაჯერებელია, რადგან ადამიანები მზად არიან, სარწმუნოდ მიიჩნიონ ნებისმიერი ცნობა, რომელიც გარშემომყოფთაგან მომდინარეობს.

(დ) ადამიანთა უმრავლესობას უჭირს რაიმე ახლის მიღება, რომლის შესახებ ინფორმაცია, როგორც წესი, რეკლამის მეშვეობით ვრცელდება.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

17. რა იყო „ფედექსის“ ის მნიშვნელოვანი **<u>მახასიათებელი</u>**, რომლის წყალობითაც მან უკან ჩამოიტოვა თავისი ძლიერი კონკურენტი?

(ა) „ფედექსი“იყენებდა უფრო ეფექტიან მარკეტინგულ სვლებს, ვიდრე UPS.

(ბ) UPS-თან შედარებით, „ფედექსმა“ უფრო ადრე დაიკავა ნიშა სწრაფი გადაზიდვების ბაზარზე.

(გ) „ფედექსი“, UPS-ისგან განსხვავებით, დროულად ხვდებოდა, რეალურად რა გახდიდა მათ პროდუქტს უფრო მიმზიდველს მომხმარებლისთვის.

(დ) UPS-ის მომხმარებლისგან განსხვავებით, „ფედექსის“ კლიენტს შეეძლო, სახლიდან გაუსვლელად ედევნებინა თვალი თავისი გზავნილის მოძრაობის პროცესისათვის.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

18. „ფედექსის“ მიერ გამოყენებული სტრატეგიებიდან რომელი იყო ისეთი, რომელიც შესაძლოა სხვებს აბსურდულად მოსჩვენებოდათ, თუმცა, სინამდვილეში, წარმატების მომტანი იყო ამ ორგანიზაციის საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე?

(ა) მომხმარებლისთვის საკუთარი პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ორიგინალური მეთოდების გამოყენება.

(ბ) რთულად განსახორციელებელი, თუმცა, ყველასთვის ადვილად გასაგები საკადრო პოლიტიკის დანერგვა.

(გ) პროდუქტის განსაკუთრებულობაზე, გამორჩეულობაზე მიმართული ღონისძიებები.

(დ) დიდი ძალისხმევის წარმართვა თითოეული ტიპის პროდუქტის დახვეწაზე.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

19. ცნობილია, რომ კომპანია „ფედექსისათვის“ მძიმე პერიოდში, როდესაც მას ფინანსური პრობლემები ჰქონდა, თანამშრომლები საკუთარი სახსრებით იძენდნენ საწვავს თვითმფრინავებისათვის.

ტექსტის რომელ აბზაცებს ეხმიანება ეს ინფორმაცია?

(ა) I და II

(ბ) III და V

(გ) IV და VI

(დ) V და VI

დაბრუნება ტექსტის I გვერდზე

დაბრუნება ტექსტის II გვერდზე

20. ტექსტის ბოლო წინადადებით ავტორი ცდილობს:

(ა) გამოკვეთოს ტექსტში განხილული ორგანიზაციების ძირითადი პრიორიტეტები.
(ბ) ერთგვარი შეჯამების სახით წარმოადგინოს ტექსტის ძირითადი სათქმელი.
(გ) ხაზი გაუსვას ერთ-ერთი ორგანიზაციის უნიკალურ გამოცდილებასა და მიღწევებს.
(დ) შეგვიქმნას ერთგვარი წარმოდგენა ორგანიზაციებს შორის კონკურენციის მიზეზების შესახებ.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა (საწყისი წყვილი), რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. დაადგინეთ, რა სახისაა ეს მიმართება.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში ასევე მოცემულია მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. აირჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება საწყის წყვილში არსებული მიმართების მსგავსია (ანალოგიურია). პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.

21. ცელი : მთიბავი

(ა) დეკორაცია : დეკორატორი

(ბ) ზრახვა : თანამზრახველი

(გ) საზღვარი : მესაზღვრე

(დ) იუბილე : იუბილარი

(ე) ბადე : მებადური

22. გაფილტრული : გაცრილი

(ა) დამშრალი : აორთქლებული

(ბ) დაღვრილი : დაფანტული

(გ) დაფქული : გამომცხვარი

(დ) მოხნული : დათესილი

(ე) გაყინული : შენახული

23. ცუნამი : მიწისძვრა

(ა) ოაზისი : უდაბნო

(ბ) მდინარე : მორევი

(გ) ტორნადო : მტვერი

(დ) გეიზერი : ვულკანი

(ე) ცისარტყელა : რკალი

24. მრავალჟამიერი : პოლიფონია

(ა) ბალადა : ფოლკლორი

(ბ) ჯაზი : ფესტივალი

(გ) ოპერა : ლიბრეტო

(დ) სონეტი : სტროფი

(ე) მარში : რიტმი

25. კამიკაძე : თავის გაწირვა

(ა) ჯაშუში : ინფორმაციის გასაიდუმლოება

(ბ) ტერორისტი : სამაგიეროს გადახდა

(გ) დეტექტივი : სამძებრო მოქმედება

(დ) მოსამართლე : ბრალის წაყენება

(ე) სნაიპერი : სამიზნის არჩევა

26. ორბიტა : ელიფსური

(ა) ჰავა : კლიმატური

(ბ) წვიმა : მეტეორული

(გ) კრატერი : ძაბრისებური

(დ) ეკვატორი : ჰორიზონტალური

(ე) თანავარსკვლავედი : შორეული

27. გულადი : ლაჩარი

(ა) ფორტე : პიანო

(ბ) ფინალი : აკორდი

(გ) ტენორი : სოპრანო

(დ) ეტიუდი : სავარჯიშო

(ე) პრელუდია : უვერტიურა

წინადადებების შევსება

მოცემულია წინადადებები, რომლებშიც გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებითაა აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველი ვარიანტი შეიცავს სიტყვათა ჯგუფს, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

28. მეხსიერების ------ , შეინახოს ყველაფერი, ------ დაკარგოს ის, ------ . როგორც გაძლიერებული, ისე გაძნელებული დავიწყება მიგვანიშნებს მეხსიერების ------ .

(ა) ფუნქციაა / რაც ჩვენთვის საჭიროა, და, ამავე დროს, / რასაც აღვიქვამთ / სრულყოფილებაზე

(ბ) ფუნქცია არაა / რასაც აღვიქვამთ, მაგრამ მან არ უნდა / რაც ჩვენთვის საჭიროა / არასრულყოფილებაზე

(გ) ფუნქციაა / რასაც ვიმახსოვრებთ, და, ამავე დროს, არ / რასაც აღვიქვამთ / არასრულყოფილებაზე

(დ) ფუნქცია არაა / რასაც ვიმახსოვრებთ, მაგრამ მან არ უნდა / რაც ჩვენთვის საჭიროა / სრულყოფილებაზე

29. როდესაც სამეცნიერო პრობლემის გადაჭრაზე ვმუშაობ, ------ , მხოლოდ ის ------ . თუმცა, მუშაობის დასრულების შემდეგ თუ ვხედავ, რომ ჩემი ძალისხმევის შედეგი ------ , ვხვდები, რომ ის ------ .

(ა) ყოველთვის მაფიქრებს მისი ესთეტიკური მხარეც / როდი მადარდებს, როგორ გადავჭრა პრობლემა / ჭეშმარიტია / მშვენიერია

(ბ) არასოდეს ვფიქრობ მის ესთეტიკურ მხარეზე / მადარდებს, როგორ გადავჭრა პრობლემა / მშვენიერი არ არის / არც ჭეშმარიტია

(გ) ყოველთვის მაფიქრებს მისი ესთეტიკური მხარე / მადარდებს, რომ პრობლემის გადაჭრა ესთეტიკური თვალსაზრისით მისაღები იყოს / მშვენიერი არ არის / არც ჭეშმარიტია

(დ) არასოდეს ვფიქრობ მის ესთეტიკურ მხარეზე / როდი მადარდებს, პრობლემის გადაჭრა ესთეტიკური თვალსაზრისით მისაღები იყოს / მშვენიერია / ჭეშმარიტი არ არის

30. ისინი, ვინც რევოლუციურ ეპოქაში ------ თანამედროვეთა ანარქიული ვნებების ------ , ვერ ხვდებიან, რომ ------ მოვლენების ------ .

(ა) გულუბრყვილოდ მიაწერენ / გაღვივებას სტიქიურ პროცესებს / ხალხის მასების გამოღვიძება არასოდეს არის წინასწარ დაგეგმილი / გამიზნული შედეგი

(ბ) პოლიტიკოსთა ინტრიგებს აბრალებენ / გაღვივებას / ხალხის მასების გამოღვიძება, როგორც წესი, წინასწარ დაგეგმილი / გამიზნული შედეგია

(გ) ქედმაღლობით იჩემებენ / გაღვივებას / ამ მოჩვენებით წარმატებას / სტიქიურ განვითარებას უნდა უმადლოდნენ

(დ) აგრესიით უპირისპირდებიან რევოლუციურ ხელისუფლებას / გაღვივების გამო / ხელისუფლებაში მომხდარ გადატრიალებას / სტიქიურ განვითარებას უნდა უმადლოდნენ

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიადვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ან დიაგრამის ფორმით.

31. ცნობილია, რომ დელფინებს თავისებური ვერბალური კომუნიკაცია აქვთ და მათი ენის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ე. წ. „ავტოგრაფი“ – სპეციფიკური საიდენტიფიკაციო სტვენა, რომელიც თითოეულ ინდივიდს საკუთარი აქვს. „ავტოგრაფების“ ერთ-ერთი გამოყენებაა „მისალმების რიტუალი“ დელფინების ორი ჯგუფის შეხვედრისას: თითოეული ჯგუფის ერთი წევრი მეორე ჯგუფს თავისი „ავტოგრაფით“ მიმართავს. საინტერესოა, რატომ უსტვენს თავის „ავტოგრაფს“ ჯგუფების მხოლოდ ერთი წარმომადგენელი. ერთ-ერთი ჰიპოთეზის თანახმად, <u>მისალმების ამ რიტუალში უსტვენს ჯგუფის ლიდერი და ამით შემხვედრ ჯგუფს მთელი ჯგუფის იდენტობას ამცნობს</u>.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ვითარება <u>აყენებს ეჭვქვეშ</u> აღნიშნულ ჰიპოთეზას?

(ა) მისალმების რიტუალის ჩატარების შემდეგ ზოგჯერ ჯგუფები ერთიანდებიან, ზოგჯერ კი ისევ შორდებიან ერთმანეთს, თუმცა, შეიძლება რამდენიმე ინდივიდმა ძველი ჯგუფი დატოვოს და ახალს შეუერთდეს.

(ბ) დელფინების სოციალური სისტემა არ არის იერარქიულად ორგანიზებული; მათი ჯგუფები დროებითი და არასტაბილურია და ინდივიდები ხშირად გადადიან ერთი ჯგუფიდან მეორეში.

(გ) დელფინების ჯგუფები ნაცნობობას ემყარება – თევზებისგან განსხვავებით, რომლებიც განურჩევლად ერთიანდებიან ჯგუფებად, დელფინები იცნობენ თავიანთი ჯგუფის წევრებს და მომავალი ჯგუფის წევრებსაც, როცა ჯგუფს იცვლიან.

(დ) მისალმების ასეთ რიტუალებში მონაწილე ჯგუფები, რომლებიც თუნდაც მცირე ხნის წინ დაშორდნენ ერთმანეთს, ხელახალი შეხვედრისას ისევ აცნობებენ ერთმანეთს ჯგუფების შემადგენლობის შესახებ.

(ე) „ავტოგრაფი სტვენების“ საშუალებით დელფინები გადასცემენ ინფორმაციას არა მხოლოდ ინდივიდის ვინაობის შესახებ, არამედ მისი „ავტორის“ განწყობის შესახებაც.

32. მოცემულია დებულებები:

- ზოგიერთი მწვერვალი ვულკანური წარმოშობისაა.
- არავულკანური წარმოშობის ზოგიერთი მწვერვალი ყინულითაა დაფარული.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა **<u>აუცილებლად მცდარი</u>**, თუ მოცემული დებულებები ჭეშმარიტია?*

(ა) ყინულით დაფარული ყველა მწვერვალი ვულკანური წარმოშობისაა.

(ბ) ვულკანური წარმოშობის ყველა მწვერვალი ყინულითაა დაფარული.

(გ) ყინულით დაფარული ყველა მწვერვალი არავულკანური წარმოშობისაა.

(დ) ვულკანური წარმოშობის ზოგიერთი მწვერვალი ყინულითაა დაფარული.

(ე) არავულკანური წარმოშობის ზოგიერთი მწვერვალი არ არის ყინულით დაფარული.

33. მოცემულია დებულებები:

I. ზოგიერთი ჩემი თანაჯგუფელი კალათბურთელია.
II. ჩემი მეგობარი არც ერთ კალათბურთელს არ იცნობს.
III. ჩემი მეგობარი ყველა ჩემს თანაჯგუფელს იცნობს.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია **<u>მცდარი</u>** მსჯელობა ამ დებულებებს შორის მიმართების შესახებ?*

(ა) I და II დებულებებიდან გამომდინარეობს III-ის უარყოფა.
(ბ) II და III დებულებებიდან გამომდინარეობს I-ის უარყოფა.
(გ) I და III დებულებებიდან გამომდინარეობს II-ის უარყოფა.
(დ) თითოეული მათგანი გამომდინარეობს დანარჩენი ორიდან.
(ე) არც ერთი მათგანი არ გამომდინარეობს დანარჩენი ორიდან.

34. მოცემულია:

- თუ ეკონომიკის ზრდა ამავე ტემპით გაგრძელდება, მაშინ ინფლაცია მალე შეჩერდება.
- თუ ინფლაცია მალე შეჩერდება, სამომხმარებლო საქონლის ფასები სტაბილური გახდება.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი **<u>გამომდინარეობს</u>** ამ დებულებებიდან?*

(ა) ეკონომიკის ზრდა ამავე ტემპით არ გაგრძელდება ან სამომხმარებლო საქონლის ფასები სტაბილური არ გახდება.

(ბ) თუ ინფლაცია მალე არ შეჩერდება, მაშინ სამომხმარებლო საქონლის ფასები სტაბილური არ გახდება.

(გ) ეკონომიკის ზრდა ამავე ტემპით გაგრძელდება ან სამომხმარებლო საქონლის ფასები სტაბილური გახდება.

(დ) ეკონომიკის ზრდა ამავე ტემპით არ გაგრძელდება ან სამომხმარებლო საქონლის ფასები სტაბილური გახდება.

(ე) თუ ეკონომიკის ზრდა ამავე ტემპით არ გაგრძელდება, მაშინ სამომხმარებლო საქონლის ფასები სტაბილური არ გახდება.

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ მასზე პასუხის გასაცემად შესაძლებელია დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

i ინგლისის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სოლზბერის ვაკეზე, დაახლოებით ძვ. წ. 2500 წელს აღიმართა ჩვენთვის ყველაზე ამოუცნობი არქიტექტურული სტრუქტურა – **სტოუნჰენჯი** – ნეოლითის ხანის მეგალითური მონუმენტი. ეს არის კონცენტრულ* წრეებად განლაგებული გიგანტური ქვების კონსტრუქცია. შუაში 5 უზარმაზარი ტრილიტია (2 თლილ მონოლითს ზემოდან მესამეც ადევს). სტოუნჰენჯი „დაკიდებულ“, „მოცეკვავე“ ან „მოხეტიალე ქვებს“ ნიშნავს. თავდაპირველად სტრუქტურის შიდა ნაწილი (ცისფერი ქვები) აშენდა, მას ეტაპობრივად ემატებოდა გარეთა წრე – უზარმაზარი ლოდები. მეცნიერებმა უარყვეს ცნობილი იდეა, რომ სტოუნჰენჯი იყო პრეისტორიული ობსერვატორია ან მზის ტაძარი. ამ კომპლექსს მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა ახალი აღმოსავლურ-დასავლური გაერთიანების განმტკიცებაში, რომელიც ერთმანეთთან მებრძოლი ბრიტანული ტომებისგან ჩამოყალიბდა. ერთი მოსაზრების თანახმად კი, თითოეული მეგალითი კონკრეტული კლანის წინაპრის სიმბოლური გამოსახულება უნდა ყოფილიყო.

ii არქეოლოგებმა სტოუნჰენჯის ახლოს ამ მონუმენტის უფრო დიდი ვერსია აღმოაჩინეს. 90 მეგალითი ქმნის წრეს, რომლის დიამეტრი 1,5 კმ-ია. იქვეა ვუდჰენჯიც, რომელიც სტოუნჰენჯის იდენტურია, მხოლოდ ხისგან დამზადებული. როგორც ჩანს, სტოუნჰენჯი უზარმაზარი სარიტუალო კომპლექსის ნაწილია. უცნობია, როგორ გადმოჰქონდათ მშენებლობის ადგილას ქვები, რომელთაგან ზოგი 28 ტონას იწონის.

iii ახლახან აღმოაჩინეს ორკნის არქიპელაგის (ჩრდილოეთ შოტლანდია) უძველეს ბინადართა მიერ ორ ტბას შუა ბუნებრივად „გადებულ ხმელეთის ხიდზე“ აგებული ნეოლითური ხანის უნიკალური მონუმენტური ნაგებობა – **ბროდგარის ნესი** – უჩვეულო გეგმარებით, გრავირებული ლოდებით, მოხატული ფასადებით. ბროდგარის ნესის ნაგებობას დაახლოებით ძვ. წ. 2800 წლით ათარიღებენ. მას

*კონცენტრული წრეები – საერთო ცენტრის მქონე წრეები.

შეკითხვებზე გადასვლა: 35 36 37 38 39 40

ტაძარს უწოდებენ, მაგრამ, სავარაუდოდ, ათასი წლის განმავლობაში ის რამდენიმე ფუნქციას ასრულებდა. აქ ხალხი არ ცხოვრობდა, მხოლოდ სეზონური რიტუალებისთვის, სადღესასწაულოდ და სავაჭროდ იკრიბებოდა. ბროდგარის ნესის ახლოს არის ბროდგარის წრე – გიგანტური ქვების რგოლი, იქვეა სტენესის მეგალითებიც – მეორე სარიტუალო წრე. ნანგრევებში ძვირფასი სავაჭრო საქონელიც იპოვეს, მაგალითად, ვულკანური მინა შორეული არანის კუნძულიდან (სამხრეთ-დასავლეთი შოტლანდია).

iv როგორ მოიპოვა შოტლანდიის უკიდურეს ჩრდილოეთში მიმოფანტულმა ამ კუნძულებმა საინჟინრო, კულტურული და რელიგიური ცენტრის სტატუსი? ორკნი შორეულ კუნძულებად არ უნდა განვიხილოთ. ამ არქეოლოგიურ ველზე აღმოჩენილი არტეფაქტები გვაფიქრებინებს, რომ ორკნის კუნძულები აქტიურ სავაჭრო გზაზე მდებარეობდა. ნეოლითიდან მოყოლებული, მასზე არაერთი საზღვაო მარშრუტი გადიოდა. ისიც მნიშვნელოვანია, რომ გოლფსტრიმის თბილი დინების გამო ორკნი რბილი კლიმატითა და ნაყოფიერი ნიადაგით გამოირჩევა.

ინგლისელი მკვლევრის პარკერ პირსონის აზრით, v როცა სტოუნჰენჯი შენდებოდა, კუნძულზე ერთიანი კულტურა ყალიბდებოდა ორკნიდან ინგლისის სამხრეთ სანაპირომდე. სტოუნჰენჯის ნებისმიერი არქიტექტურული ელემენტის ანალოგს წააწყდებით მთელი ბრიტანეთის ტერიტორიაზე მანამდე აგებულ მონუმენტებზე. როგორც აღმოჩნდა, ეს ყველაფერი დასაბამს იღებს უელსსა და შოტლანდიაში. არქეოლოგ ნიკ კარდის თქმით, ბრიტანეთის პრეისტორია თავდაყირა დადგა. ნესის კომპლექსი მთლიანად ანგრევს იმ მოსაზრებას, რომ ველური ჩრდილოეთი სამხრეთიდან შემოსულმა დახვეწილმა კულტურამ გააკეთილშობილა.

შეკითხვებზე გადასვლა: 35 36 37 38 39 40

35. სტოუნჰენჯი ჩვენთვის ერთ-ერთი ამოუცნობი არქიტექტურული სტრუქტურაა, რადგან არ ვიცით:

(ა) რატომ ჰქვია ამ მონუმენტს „დაკიდებული“, „მოცეკვავე“ ან „მოხეტიალე“ ქვები.

(ბ) რატომ ეგონათ მეცნიერებს ეს ნაგებობა პრეისტორიული ობსერვატორია ან მზის ტაძარი.

(გ) ერთმანეთთან მებრძოლი რომელი ბრიტანული ტომების გაერთიანებისთვის შეასრულა ამ მონუმენტმა მნიშვნელოვანი როლი.

(დ) რა დანიშნულება ჰქონდა გიგანტური ქვების კონცენტრულ წრეებად განლაგებას, ტრილიტებსა თუ ცისფერ ქვებს, ზოგადად, მონუმენტს.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

36. სამხრეთ-დასავლეთ ინგლისში მდებარეობს ნეოლითური ხანის საკულტო მონუმენტი **ეივბერი**, რომელიც მეგალითების სამ წრეს მოიცავს. ეივბერის, სტოუნჰენჯის უფრო დიდი ვერსიისა და ვუდჰენჯის ურთიერთშედარების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

(ა) როგორც არქიტექტურული, ისე დანიშნულების თვალსაზრისით, სტოუნჰენჯის იდენტური ნაგებობებია ეივბერიც, ვუდჰენჯიც და სტოუნჰენჯის დიდი ვერსიაც.

(ბ) ინგლისის ტერიტორიაზე არსებულ ნეოლითური ხანის ძეგლებს, ძირითადად, წრიული მეგალითების სახე აქვს; სტოუნჰენჯი უზარმაზარი სარიტუალო კომპლექსის ნაწილია.

(გ) როგორც სტოუნჰენჯის, ისე, ვუდჰენჯის, ეივბერისა და სხვა მონუმენტებისთვის მეგალითების გადმოსაზიდად ერთსა და იმავე ტექნიკას იყენებდნენ.

(დ) ეს მონუმენტები მხოლოდ მეგალითების კონცენტრული წრეების დიამეტრის სიდიდითა და ტრილიტების რაოდენობით განსხვავდება ერთმანეთისგან.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

37. გთავაზობთ სამხრეთ თურქეთის ნეოლითური ძეგლის – **<u>გობექლი თეფეს</u>** აღწერილობას, რომელიც დაახლოებით ძვ. წ. 9600-8200 წლებში ააგეს. აქ არის კონცენტრულ წრეებად აღმართული რამდენიმე ათეული ქვის მასიური სვეტი. სვეტებს გიგანტური ასო T-ს ფორმა აქვს. მეცნიერთა აზრით, T-სვეტები ადამიანის ერთგვარი სტილიზებული გამოსახულებებია – ზოგიერთი სვეტის „მხრებიდან“ ეშვება სვეტის „სარტყელთან“ აშკარად გამოკვეთილი „ხელები“. რამდენიმე კილომეტრის მოშორებით აღმოაჩინეს უფრო მომცრო ზომის T-სვეტები.

*შეადარეთ გობექლი თეფე სტოუნჰენჯს. ქვემოთ მოცემული ოთხი მახასიათებლიდან რომლის შესახებ **<u>ვერ ვიტყვით</u>** დანამდვილებით, რომ ის მსგავსია ორივე ძეგლისთვის?*

(ა) განლაგება – ორივე კომპლექსში ქვის სვეტები კონცენტრულ წრეებად არის განლაგებული.

(ბ) სტრუქტურა – ორივე ძეგლი მასშტაბური კომპლექსის ნაწილია.

(გ) ეპოქა – ორივე ნეოლითური ხანის მონუმენტური ძეგლია.

(დ) სიმბოლიკა – ორივე ძეგლის სვეტები ადამიანის ერთგვარად სტილიზებული გამოსახულებებია.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

38. რომელ აზრს ამყარებს ბროდგარის ნესის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არანის კუნძულის ვულკანური მინის მაგალითი?

(ა) ორკნის კუნძულების ნეოლითური „საზოგადოება“ არ იყო ჩაკეტილი, მას ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა შოტლანდიის სხვა კუნძულებთანაც.

(ბ) ბროდგარის ნესის ტაძარი ათასი წლის განმავლობაში რამდენიმე ფუნქციას ასრულებდა, ისევე, როგორც ბროდგარის წრე და სტენესის მეგალითები.

(გ) ორკნის კუნძულების მონუმენტებს რელიგიური ფუნქცია უნდა ჰქონოდა, რადგან აქ აღმოჩნდა ბევრი რიტუალური დანიშნულების ნივთი.

(დ) ბროდგარის ნესის დანიშნულება მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობა იყო.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

39. რომელი ფაქტორი <u>**არ არის გადამწყვეტი**</u> იმის დასადგენად, რომ ორკნის კუნძულებს საინჟინრო, რელიგიური თუ კულტურული ცენტრის სტატუსი ჰქონდა?

(ა) ნეოლითიდან მოყოლებული ორკნის კუნძულებზე არაერთი საზღვაო მარშრუტი გადიოდა.

(ბ) გოლფსტრიმის თბილი დინების გამო ორკნის კუნძულებზე ხელსაყრელი გარემო იყო არქიტექტურული თუ სხვა ინოვაციების დასანერგად.

(გ) ბროდგარის ნესი, ბროდგარის წრე თუ სტენესის მეგალითები ორკნის მკვიდრთათვის სეზონური რიტუალებისა და სადღესასწაულო ცერემონიების ადგილი იყო.

(დ) ორკნის კუნძულებზე უამრავი არტეფაქტი აღმოჩნდა – ეს იყო აქტიური სავაჭრო გზა ბრიტანეთის სხვა კუნძულებისთვისაც.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

40. „ბრიტანეთის პრეისტორია თავდაყირა დადგა“ – ნიკ კარდის ამ სიტყვების რომელი ინტერპრეტაციაა მართებული?

(ა) აღიარებული მოსაზრების თანახმად, მთელ ევროპაში კულტურა გავრცელდა სამხრეთის ქვეყნებიდან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბრიტანეთში ჯერ ჩრდილოეთში (ორკნიში) ინერგებოდა სიახლეები და შემდეგ ვრცელდებოდა ცენტრალურსა და სამხრეთ ინგლისში.

(ბ) პარადოქსული იყო ის ფაქტი, რომ სამხრეთ ინგლისის მეგალითები უხეშად არის დამუშავებული, ჩრდილოეთის ნაგებობა – ბროდგარის ნესი კი – გრავირებული ლოდებითა და მოხატული ფასადებით გამოირჩევა.

(გ) ქრონოლოგიურად ჯერ სტოუნჰენჯი აღმოაჩინეს და მხოლოდ ბოლო წლებში – ბროდგარის კომპლექსი, ამიტომ მეცნიერებს ეგონათ, რომ ისტორია დაიწყო სტოუნჰენჯიდან.

(დ) სტოუნჰენჯის ნებისმიერი არქიტექტურული ელემენტის ანალოგს შევხვდებით უელსსა და შოტლანდიაში, რაც იმას ნიშნავს, რომ სამხრეთ ბრიტანეთის დახვეწილი კულტურა აღმოჩნდა ჩრდილოეთის რეგიონებისთვის ბიძგის მიმცემი.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)